ხელშეკრულება№ 5

01.03.2013 წელი

ერთის მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბიწმენდის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორი ნინელი მამულაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მაგთიკომი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ქ.მცხეთის, რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურეობის ოფისის მენეჯერის ლაშა ლაბაურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება მოცემული დადგენილი ტარიფების და წესების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარს, დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით, აქედან:

3.3 სატელეფონო ქსელში ჩართვის ღირებულება შეადგენს — ლარს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინასწარ გადახდის პირობით.

7.2. ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დავალიანების არსებობის შემთვევაში დროულად და სრულად გადაიხადოს იგი;
- წინასწარ გადახდილი(საავანსო) თანხის ამოწურვის შემდეგ, თუ არ გაითიშა ტელეფონის ნომერი გადაიხადოს საავანსო თანხის ზემოთ გაწეული მომსახურების ღირებულება.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- წინასწარი შეტყობინებით დაადგინოს, გააუქმოს ან/და შეცვალოს მომსახურების სახეები, პირობები, წესები, მომსახურებების ღირებულებების ოდენობა, მათი გადახდის და დამრგვალების წესი;
- ტელეფონის ნომერზე შემომავალი ზარის გათიშვიდან, მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პერიოდის ამოწურვის შემდეგ შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება და ტელეფონის ნომერი გასცეს მესამე პირზე;
- გათიშოს კონკრეტული ტელეფონის ნომერი თუ იგი გამოიყენება სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელიდან წამოწყებული ზარის მიმწოდებლის ქსელში დასასრულებლად.
- მიაწოდოს შემსყიდველს მის სახელზე რიცხულ ტელეფონის ნომრებზე ნებისმიერი სახის ინფორმაცია და მისალოცი ტექსტები მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა საშუალებით;
- წინასწარი გადახდის სისტემის ბარათის კოდის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ოდენობით არასწორედ აკრეფვის შემთხვევაში დროებით გათიშოს ტელეფონის ნომერი წინასწარი შეტყობინების გარეშე

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალიწინებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს ...ების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

10.2 მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარისათვის გაგზავნილი ...ობითი შეტყობინების საფუძლეზე;

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ბიწმენდის საჯარო სკოლა
მცხეთა სოფ. ბიწმენდი
ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი

ა/ა**GE97LB0121110416361000**
კოდი:**LBRTGE22**
ს/კოდი:**236087694**

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „მაგთიკომი"
მის: ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.№5
სს „ვითიბი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი

ა/ა **GE73VT6600000000423607**
კოდი: **UGEBGE22**
ს/კოდი: 204876606

დირექტორი

ნინელი მამულაშვილი

ოფისის მენეჯერი

ლაშა ლაბაური